



ხარაგაულის მუნიციპალიტეტის თვითმმართველი ერთეულის 2022 წლის ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ ხარაგაულის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2021 წლის 16 დეკემბრის N 24 დადგენილებაში ცვლილების შეტანის შესახებ

1. ცვლილება შევიდა საქართველოს მთავრობის 2022 წლის 17 იანვრის N 75 განკარგულებაში და ხარაგაულის მუნიციპალიტეტისათვის საქართველოს რეგიონებში განსახორციელებელი პროექტების ფონდიდან გამოყოფილი სახსრები 5 442 301 ლარი გაიზარდა 721 953 ლარით და განისაზღვრა 6 164 254 ლარი. აღნიშნულ განკარგულებაში მოხდა სხვადასხვა პროექტების დაკორექტირება. (დან. N 1)
2. ასევე ცვლილება შევიდა საქართველოს მთავრობის 2022 წლის 25 მაისის N 926 განკარგულებაში და „მაღალმთიანი დასახლებების განვითარების ფონდიდან“ ხარაგაულის მუნიციპალიტეტში გზების რეაბილიტაციისათვის გამოყოფილი სახსრები 561 746 ლარი გაიზარდა 146 480 ლარით და განისაზღვრა 708 226 ლარი, მ. შ. სოფელ ჩრდილში ტალახაძეების საუბნო გზის რეაბილიტაცია 59 179 ლარი და გოგნაძეების საუბნო გზის რეაბილიტაცია 87 301 ლარი. (დან. N 2)
3. გადმოტანილი იქნას 2022 წლის პირველი იანვრისათვის არსებული საქ მთავრობის 2015 წლის 20.01. N 39 განკარგულების ნაშთიდან -11 211,21 ლარი კეთილმოწყობის ობიექტების მშენებლობა რეაბილიტაციის ხარჯებში, საგარანტიოდ დატოვებული 2,5 %-ის ასანაზღაურებლად.

ზემოთ აღნიშნულიდან გამომდინარე:

ხარაგაულის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის შემოსულობები 22 685 768 ლარი იზრდება 868 433 ლარით და განისაზღვრება 23 554 201 ლარით.

შემოსულობები იზრდება საქართველოს რეგიონებში განსახორციელებელი პროექტების ფონდიდან გამოყოფილი სახსრების ხარჯზე 721 953 ლარით და „მაღალმთიანი დასახლებების განვითარების ფონდიდან“ გამოყოფილი სახსრების ხარჯზე 146 480 ლარით.

ხარაგაულის მუნიციპალიტეტის გადასახდელები 26 108 515 ლარი კი იზრდება 879 644 ლარით და განისაზღვრება 26 988 159 ლარით.

გადასახდელების ზრდის წყაროა საქართველოს რეგიონებში განსახორციელებელი პროექტების ფონდიდან გამოყოფილი სახსრები 721 953 ლარი, „მაღალმთიანი დასახლებების განვითარების ფონდიდან“ გამოყოფილი სახსრები 146 480 ლარი და საქ მთავრობის 2015 წლის 20.01. N 39 განკარგულების ნაშთიდან 11 211 ლარი.

ვლადიმერ გელაშვილი

საფინანსო-საბიუჯეტო სამსახური-სამსახურის უფროსი